

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი
სხდომას ესწრებოდნენ:

17.01.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი; ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოვა - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნათელა წიკლაშვილი - რექტორის მოადგილე;

ანზორ ბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

მარინე გიორგაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ქეთევან სვანიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ ღლონტი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

ნუგზარ ლომიძე - ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო სვანიძე - ფინანსური მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

არჩილ ფრანგიშვილი - რექტორი;

ქართლოს ყაჟიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

ზურაბ ბაიაშვილი - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ერეკლე ჩიგოგიძე;
- ირინა ლობჟანიძე;
- ევა ლევაშვილი;
- რუსულან სეთურიძე;
- დავით ბურჯანაძე;
- გიორგი გიორგობიანი;
- ვასილ კიკუტაძე;
- გიორგი დალაქიშვილი;
- ანარო ბასილაია;
- მარანა ხაჩიძე;
- ირმა მახარაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:35 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;



4. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემთა სისტემების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.


საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხების განხილვის საბჭოს სხდომიდან მოხსნასთან დაკავშირებით, ვინაიდან, დაწესებულებებს არ გააჩნდათ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნების საბოლოო ვერსიები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ახალი დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემთა სისტემების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.



1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

| | |
|---------------------------|--|
| პროგრამის დასახელება | თარგმანმცოდნეობა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თარგმანმცოდნეობაში |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო იქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის ექსპერტებს.

ექსპერტების განცხადებით პროგრამის გასაუმჯობესებლად საჭირო იყო მომხდარიყო პროგრამაში დაშვების წინაპირობების გადახედვა და სპეციალიზაციის არსებულ მოდულებთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე შესაბამისობების უნიფიცირებული ფორმით ვაწერა ყველა შესაბამის შიდასაუნივერსიტეტო დოკუმენტში.

ასევე, მომხდარიყო თარგმანმცოდნეობითი კოპონენტის გაწერა უშუალოდ სპეციალობის მოდულების ფარგლებში (არჩეული უცხოური ენის შესაბამისად) და არა ზოგადად სავალდებულო კურსების სახით.

ექსპერტის თქმით, უცხოური ენების სალექციო კურსისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები უნდა გადახედილიყო და მომხდარიყო უნიფიცირება ენობრივი დონეების მიხედვით და მათი თავსებადობაში მოყვანა ერთიან ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოსთან.

ექსპერტთა აზრით, გადასახედი იყო სწავლების შედეგების კომპონენტიც, ასევე საჭირო იყო მათი ერთიან სტრუქტურაში მოქცევა და დაკონკრეტება შესაბამისი სალექციო კურსის სპეციფიკის და სწავლის შედეგების რუკაში დაფიქსირებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუცილებელი იყო კონკრეტული სალექციო კურსების სილაბუსებში პრაქტიკული შემადგენლის ასახვა, რომელიც სალექციო კურსებში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

ამასთანავე, ექსპერტთა აზრით, პროგრამაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი სინქრონული თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების



გამომუშავებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის/პროგრამული უზრუნველყოფის დაწერვა-გამოყენება.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოხდებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გადამუშავება, კერძოდ, სპეციალიზაციის ძირითადი მოდულებიდან ამოღებული იქნებოდა თურქული ენის მოდული და დატოვებული იქნებოდა დამატებითი პროგრამის სპეციალიზაციის მოდულებში, რაც დაშვების წინაპირობების უნიფიცირებული ფორმით გაწერის საშუალებას მისცემდა პროგრამას (მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე).

ასევე, თარგმანმცოდნეობითი კომპონენტების პრაქტიკული შემადგენელი გაიწერებოდა უშუალოდ სპეციალიზაციის მოდულების ფარგლებში არჩეული უცხოური ენის შესაბამისად (მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებული იყო);

გარდა ამისა, ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, დაიხვეწებოდა პროგრამის სტრუქტურა საკონტაქტო საათების მოცულობისა და გადანაწილების თვალსაზრისით და ცალკეულ შემთხვევებში მოხდებოდა მეთოდებისა და შეფასების ფორმების, ასევე სწავლის შედეგების გადახედვა ერთიან სტრუქტურაში მოქცევის მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უცხოური ენების საკონტაქტო საათების რაოდენობები შეძლებისდაგვარად ჩასწორდებოდა ენობრივი დონეების უნიფიცირების მიზნით (მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე, მუშაობა აღნიშნულ საკითხზე ასევე დაწყებული იყო).

ამასთანავე, 2019 წლისთვის გატარებული იქნებოდა აუცილებელი ღონისძიებები სინქრონული თარგმანის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის/პროგრამული უზრუნველყოფის დაწერვისა და გამოყენების მიზნით და მოხდებოდა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება და გამრავალფეროვნება თანამედროვე სახელმძღვანლოებით (2018-2019 სასწ. წლის დაწყებამდე, მუშაობა აღნიშნულზე უკვე დაწყებული იყო).

მათი თქმით, გადამუშავდება სილაბუსები, რათა გამორიცხული ყოფილიყო თემების დუბლირება, მომხდარიყო თემატიკის შესაბამისობაში მოყვანა და პრერეკვიზიტების დაკონკრეტება, რაც სათანადოდ აისახებოდა სწავლის შედეგების რუქაში.

ასევე, პროგრამისა და სილაბუსების გადამუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნებოდა დაინტერესებულ პირთა (სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ პროგრამა ყოფილიყო მდგრადი, მასში ჩართული ყოფილიყო კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. ასევე, დაწესებულება მხარს უჭერდა პროგრამის განვითარებას და ეს მხარდაჭერა სხვადასხვა ტექნიკის შემენაშიც გამოიხატებოდა, რაც ხელს შეუწყობდა სინქრონულ თარგმანთან დაკავშირებულ საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენ სტუდენტს იღებდა პროგრამა, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პროგრამა გასულ წლებში იღებდა 15 სტუდენტს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა გაიზარდა, აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში პროგრამა მზად იქნებოდა მიეღო 20 სტუდენტი.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა უნივერსიტეტს სინქრონული თარგმნისთვის საჭირო აპარატურა აქამდე, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალი არ იყო და ის აქამდეც ფუნქციონირებდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ცალკე სასწავლო კურსი სინქრონული თარგმანის აქამდე არ არსებობდა და ეს კომპონენტი სხვადასხვა კურსის შემადგენლობაში შედიოდა, სწორედ ამიტომ არ იყო საჭიროება პროგრამული უზრუნველყოფისა.

საბჭოს წევრის ლევან გორდეზიანის აზრით, სინქრონული თარგმანი აღნიშნული პროგრამისთვის აუცილებელ კომპონენტს არ წარმოადგენდა, უბრალოდ პროგრამისთვისაც



და სტუდენტისთვისაც დადებითად აისახებოდა, თუ პროგრამას ხსენებული კომპონენტი შეემატებოდა.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ სინქრონული თარგმანი მოთხოვნად სფეროს წარმოადგენდა ქვეყანაში, იგი დაინტერესდა, ხომ არ გეგმავდნენ პროგრამის სპეციალისტები აღნიშნული კომპონენტის გაძლიერებას პროგრამაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნულის განხორციელაბა ძალიან რთული იყო, რაც თავის თავში სპეციალისტების გადამზადებას და სხვადასხვა კომპონენტის გაძლიერებას ითვალისწინებდა, ეს ყველაფერი კი ხანგრძლივი პროცესი იყო.

საბჭოს წევრმა ირინა გოცირიძემ იკითხა, როგორი იყო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და რითი დასტურდებოდა აღნიშნული, დადებითი პასუხის შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხი გასცა კითხვას და აღნიშნა, რომ პროგრამის ყველა კურსდამთავრებული დასაქმებული იყო და ამას გამოკითხვები ადასტურებდა. ამასთანავე, პროგრამის მაღალკურსელების ნაწილიც დასაქმებული იყო.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, როგორ ვითარდებოდა პროგრამაში ტექნიკური თარგმანის კომპონენტი, რაც ასევე მოთხოვნადი სფერო იყო ქვეყანაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსტეტს ჰქონდა გამოცდილება ტექნიკურ თარგმანთან დაკავშირებით, ისინი დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდნენ და ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტებს ბათუმის მერიასთან და ამ მხრივ პრობლემა პროგრამაში არ იყო. ასევე, ეს კომპონენტი პროგრამაშიც იყო განვითარებული და ტექნიკურ თარგმანთან დაკავშირებით რამოდენიმე კურსი ისწავლებოდა.

აკრედიტაციის ექსპერტმა დასმინა, რომ ტექნიკური თარგმანი სრულად მოცვა საბაკალავრო დონეზე საკმაოდ რთული იყო, რადგან მასალები და საკითხები საკმაოდ მოცულობითი იყო აღნიშნული დარგის.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით აუცილებელი იყო, რომ პროგრამაში ყველაფერი ყოფილიყო ფორმალიზებული და დეტალურად ყოფილიყო გაწერილი მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიუწოდოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ პროგრამაზე განხორციელებულიყო მონიტორინგი. კერძოდ, დაწესებულებას ოქმის გამოქვეყნებიდან 6

თვის ვადაში ცენტრში უნდა წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც დეტალურად
იქნებოდა აღწერილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების
გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია.



2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

| | |
|---------------------------|----------------------|
| პროგრამის დასახელება | ეკონომიკა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ეკონომიკის ბაკალავრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის ექსპერტს.

აკრედიტაციის ექსპერტის აზრით, მიზანშეწონილი იყო სასწავლო კომპონენტი გაძლიერებულიყო ისეთი თემებითა და პრაქტიკული აქტივობებით, ან სასწავლო კურსებით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას ეკონომიკური პროცესების ანალიზისას თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით, მაგალითად: გაძლიერებული ექსელი ბიზნესისთვის, სტატისტიკური პროგრამული პაკეტი Stata, სტატისტიკური პროგრამლუ პაკეტი სოციალურ მეცნიერებებში SPSS, ეკონომეტრული ანალიზის, პროგნოზირებისა და მოდელირების პროგრამული პაკეტი Eviews და სხვა. ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კომპეტენცია ეკონომიკის ბაკალავრისთვის უმნიშვნელოვანესი იყო საბაზო ინფორმაციის მოზღვავების პირობებში.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა პროგრამაში არსებულ კურსებსაც და აღნიშნა, რომ პროგრამაში სავალდებულო საგნებში შემოთავაზებული იყო სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)“, რომლის მიზანი და შედეგები არ შეესაბამებოდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას. ექსპერტის რეკომენდაციით, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული კურსში შეცვლილი „მსოფლიო ეკონომიკის ისტორიით“, რომლის შინაარსი და თემატიკაც სტუდენტს მისცემდა ცოდნას მსოფლიო ეკონომიკური პროცესების განვითარების თავისებურებების შესახებ, რაც არსებობდა მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის, როგორც ეკონომიკაში დაგროვილი ცოდნის მისაღებად, ასევე შედარებითი ანალიზის და ანალიტიკური უნარების გასავითარებლად.

გარდა ამისა, სასწავლო კურსებში „ეკონომიკსი I” და „ეკონომიკსი II” ერთნაირი ფორმულირებით იყო წარმოდგენილი მიზანი და შედეგები. ანალოგიური პრობლემა გამოიკვეთა კიდევ რამოდენიმე სასწავლო კურსშიც. ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილი იყო გამიჯნულიყო განსხვავებული სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები ერთმანეთისგან სწავლების მეთოდებიდან გამომდინარე.

ექსპერტთა აზრით, უნდა დაზუსტებულიყო ეკონომიკის საბაკალავრო, ასევე ეკონომიკის დამატებით პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრულობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ცოდნის გაღრმავებაზე ორიენტირების საფუძველზე, პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე.

ასევე ელექტრონული ბაზა შესაბამისობაში უნდა მოსულიყო პროგრამით განსაზღვრულ წინაპირობებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ხელი უნდა შეეწყო პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა არსებული რეკომენდაციების საფუძლველზე პროგრამაში რიგი ხარვეზები გამოსწორდა, რაც მათ მიერ ცენტრში გამოგზავნილი წერილით დასტურდებოდა.

კურძოდ, ეკონომიკური პროცესების ანალიზისას თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები გამოყენებული იქნებოდა შემდეგ სასწავლო კურსებში: „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“- ცალკეული საკითხების შესწავლისას „ედვანსდ ექსელ ფორ ბიზნეს“ პროგრამა, ხოლო „სოციალურ - ეკონომიკური პროცესების პროგნოზირების“ სასწავლო კურსში გამოყენებული იქნებოდა „ევიუსის“ პროგრამა;

რაც შეეხებოდა „მსოფლიო ეკონომიკის ისტორიის“ სასწავლო კურსს, იგი პროგრამას დაემატებოდა არჩევითი კურსის სახით;

ასევე გაიმიჯნებოდა სასწავლო კურსების „ეკონომიკსი I“ და „ეკონომიკსი II“, „ეკონომიკური დოქტრინები I“ და „ეკონომიკური დოქტრინები II“, „მაკროეკონომიკა I“ და „მაკროეკონომიკა II“ მიზნები და სწავლის შედეგები;

უცხო ქვეყნის რეზიდენტებისთვის ჩარიცხვის წინაპირობად განისაზღვრებოდა ქართული ენის B1 დონეზე ცოდნა;

ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძლველზე დაზუსტდებოდა სასწავლო კომპონენტების დაშვების წინაპირობები. კურძოდ, „მეტარმების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა“-ის წინაპირობად განისაზღვრებოდა „ეკონომიკური პოლიტიკა“, „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“-ის წინაპირობად - „ეკონომიკური პოლიტიკა“, „სოციალური ეკონომიკა“-ს წინაპირობად - „ეკონომიკების 1“ და „ეკონომიკების 2“, „სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება“-ს წინაპირობად - „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“.

ასევე, გათვალისწინებული იქნებოდა ექსპერტთა რჩევა პრეზენტაციის უნარის კომუნიკაციის უნარში ასახვის შესახებ და ასევე რჩევა სასწავლო კურსში „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ დავალებების შეფასებების თითოეული კრიტერიუმის შინაარსის გაწერის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელი ასევე შეეხო აკადემიური პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის გაზრდის საკითხს და აღნიშნა, რომ იგეგმებოდა 3 აკადემიური პერსონალის პროგრამაში დამატება უნივერსიტეტი კი ორიენტირებული იყო მათი სხვადასხვა კონფერენციებსა, თუ სემინარებში ჩართვის საკითხზე და მხარში ედგა მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში, ეს უკანასკნელი კი გამოიხატებოდა ევროპის სხვადასხვა ქალაქში კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვასა და მონაწილეობის მაქსიმალურ ხელშეწყობას. მისი თქმით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი ჰქონდა თანხა 120 000 ლარის ოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი უკვე გამოსწორებული იყო და პროგრამა მზად იყო დასაწყებად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენ სტუდენტს იღებდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე, რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გასულ წლებში დაწესებულება იღებდა 20 სტუდენტს და ამჟამინდელი მდგომარეობით რაოდენობა გაიზარდა 60-მდე, რაც ხაზს უსვამდა პროგრამის მოთხოვნადობასა და აქტუალობას. მისივე თქმით, წინა წლის კურსდამთავრებული 12 სტუდენტიდან 8 დასაქმებული იყო, ხოლო 8 სტუდენტმა სამაგისტრო საფეხურზე გააგრძელა სწავლა იგივე პროგრამაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ჩართული იყო სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობის საკითხში. მინისტრები და მინისტრთა აპარატი უტარებდნენ სტუდენტებს ლექცია-სემინარებს, გარდა ამისა, დამსაქტებელიც მაქსიმალურად იყო ჩართული სტუდენტთა სწავლების პროცესში, რათა ახალგაზრდების განვითარება დამსაქმებლის თვალწინ მომხდარიყო.

საბჭოს წევრმა გიორგი ოდოშაშვილმა იკითხა, რა დონეზე იყო პროგრამა ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 4 სტუდენტი იმყოფებოდა „Erasmus +” ის პროგრამით ევროპის სხვადასხვა უმაღლეს დაწესებულებაში. გარდა სტუდენტებისა, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური თანამშრომლები.

გარდა ამისა, სამაგისტრო საფეხურზე პოლონეთის ვროცლავის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით იგეგმებოდა ერთობლივი პროგრამის შექმნა, რაც უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხს კიდევ უფრო აამაღლებდა.

ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ შემდეგ სემესტრში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, დაწესებულებაში იგეგმებოდა საერთაშორისო სტუდენტის ჩართვა. უნივერსიტეტში ყველაფერი მზად იყო უცხოელი სტუდენტის მისაღებად.

საბჭოს წევრმა თეო ურუშაძემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, რა ენაზე ისწავლიდა ხსენებული სტუდენტი და როგორ მოხდებოდა მისი ჯაფუქებში გადანაწილება სხვა სტუდენტებთან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა ქართულენოვანი სილაბუსების ინგლისურენოვანი ვერსია და სწორედ ამ კურსებს სთავაზობდნენ ისინი სტუდენტს, ასევე იგი შეძლებს ცალკე, სეპარაციულად მიიღოს განათლება ამ კურსებზე დარეგისტრირების შემდეგ.

მათივე განცხადებით, აღნიშნულ სტუდენტს არჩეული ჰქონდა 20 კრედიტის მოცულობის კურსები, რაზეც საბჭოს წევრი ირინა გოცირიძე დაინტერესდა, უნივერსიტეტმა ვერ შესთავაზა მეტი რაოდენობის კრედიტები მას, თუ მისი არჩევით მოხდა ამ რაოდენობის კრედიტების დაგროვება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შეეძლო სხვადასხვა არჩევითი კურსიდან დამატებით აერჩია ნებისიერი კურსი და ეს პრობლემას არ წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა თეო ურუშაძემ ურჩია დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მათ შეეძლოთ გარდა თეორიული კომპონენტისა, პრაქტიკული კურსებიც შეეთავაზებინათ მისთვის და შესაბამისი კრედიტები ამ კომპონენტშიც მიენიჭებინათ.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ლიცენზია იმ საოფისე, თუ სტატისტიკური პროგრამების, რომელზედაც დასკვნაში იყო საუბარი და რაც, დაწესებულების თქმით, გამოსწორდა. რაზეც ფაულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ საოფისე „ექსელი“ და „სტატი“ უნივერსიტეტს ოფიციალურად ჰქონდა შეძენილი.

საბჭოს წევრის გიორგი თურქიას განცხადებით, პროგრამა საკმაოდ ქაოტური იყო, მასში შედიოდა საკმაოდ ბევრი პოლიტ-ეკონომიკური კურსი და აკლდა გაზომვადობითობის კომპონენტი, რაზეც ეკონომიკის პროგრამა უნდა ყოფილიყო აგებული. მან იკითხა, რატომ არ ისწავლებოდა პროგრამაში ეკონომეტრიკა, სტატისტიკა და ასევე იგი დაინტერესდა, რატომ ისწავლებოდა პროგრამაში საგადასახადო საქმე და რატომ არ ისწავლებოდა ფინანსური პოლიტიკა. მისი აზრით, საგადასახადო საქმე ეკონომიკისტისთვის მნიშვნელოვანი კურსი ვერ იქნებოდა და აღნიშნული კურსის პროგრამაში რენტაბელურობის საკითხიც საკითხავი იყო.

გიორგი თურქიაშ ასევე იკითხა, რატომ არ ისწავლებოდა მენეჯმენტთან დაკავშრებული კურსები ძირითადი სპეციალობის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პოლიტიკის მოდული იყო მხოლოდ პოლიტიკურ ეკონომიკასთან დაკავშირებული და არჩევითი საგნების ეკონომიკურ მოდელში ისწავლებოდა. რაც შეეხება „საგადასახადო საქმეს”, ამ კურსის არჩევით მოდულში ჩასმა, მათი თქმით, განაპირობა დამსაქმებლის მზაობაში, რადგან დაწესებულების სტუდენტები პრაქტიკაზე იმყოფებოდნენ საგადასახადო სექტორში და მოთხოვნა საგადასახადო სფეროს საფუძვლების პროგრამაში ჩადებაზე, დამსაქმებელმა წამოაყენა.

საბჭოს წევრის გიორგი თურქიას განცხადებით, პროგრამის პრობლემაც სწორედ იმას წარმოადგენდა, რომ ეკონომიკის კურსდამთავრებული საგადასახადო სფეროში მიდიოდა. მისი აზრით, არც პროგრამის სტუდენტებს უნდა გაევლოთ პრაქტიკა საგადასახადო სექტორში.

საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა, რა პოზიციებზე არიან პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დასაქმების ძირითადი სფერო იყო ბანკები და სხვადასხვა ეკონომიკური სექტორები.

გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კურსი „ეკონომეტრიკა” პროგრამაში აღნიშნული სახელწოდებით არ ისწავლებოდა, თუმცა სხვადასხვა კურსები/საგნები არნიშულ ცოდნას სტუდენტებს აწვდიდა. ესენია: „ეკონომიკა I, II”, ალბათობის თეორია და ა.შ. რაც შეეხება ფისკალურ პოლიტიკას, აღნიშნული კურსი სავალდებულო საგნების კომპონენტში არსებობდა, თუმცა სხვა სახელწოდებით, მას ერქვა „ფინანსური პოლიტიკა” და მასში წარმოდგენილი იყო ყველა ის საკითხი, რაც საჭირო იყო სტიდენტისთვის ფინანსური ცოდნის ბაზისების მისაღებად.

საბჭოსთან შეთანხმებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.



3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

| პროგრამის დასახელება | ფინანსური მათემატიკა |
|---------------------------|-----------------------|
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | მათემატიკის ბაკალავრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის ექსპერტებს.

ექსპერტთა აზრით, პროგრამის შინაარსი, სათაური და კვალიფიკაცია მოყვანილი უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან შესაბამისობაში დარგობრივი მოდულის (მათემატიკა) გაძლიერების ხარჯზე.

ასევე, დარგობრივი მოდულის (მათემატიკა) სილაბუსებში საჭირო იყო კრედიტების გაზრდა საგნის უფრო ფართოდ შესასწავლად.

რეკომენდებული იყო გაზრდილიყო დარგობრივი მოდულის (მათემატიკა) დისციპლინების კრედიტების მოცულობა 120 კრედიტამდე მოდულში შემავალი საგნების კრედიტების მოცულობების გაზრდის ხარჯზე. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის მირითად საგნებს დამატებულიყო შესაბამის გამოყენებებზე აქცენტირებული საგანი - „შემთხვევითი პროცესები“;

ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილი იყო დისციპლინა „ეკონომიკას“-ს სილაბუსში დისციპლინის შინაარსიდან გამომდინარე სრულად გაწერილიყო სწავლის შედეგები და დისციპლინა „ეკონომეტრიკა“-ს სილაბუსში მომხდარიყო სწავლის შედეგების მორგება კვალიფიკაციათა აღმწერის მიხედვით უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებთან;

ასევე ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ რეკომენდირებული იყო პროგრამით გათვალისწინებული „საბაკალავრო ნაშრომის“ სწავლის შედეგები გაწერილი ყოფილიყო კონკრეტულად, დამოუკიდებელი სრულყოფილი სილაბუსის სახით ან საბაკალავრო ნაშრომის დებულებაში.



ექსპერტმა განაცხადა, რომ აუცილებელი იყო სტუდენტების მეტად ინფორმირება საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებსა და ტენდენციებზე. ამ მიზნით, მათ შესაძლებლად მიიჩნიეს კომპიუტერული კლასების გამოყენება სხვადასხვა საფინანსო-საფონდო ბირჟებზე (NYSE, FOREX...), ან თუნდაც საქართველოს საფონდო ბირჟაზე (www.gse.ge), ონლაინ დაკვირვებებისთვის, სააქციო პორტფელების მოდელირებისთვის და სხვა;

აკრედიტაციის ექსპერტის მიერ რეკომენდებული იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობები განთავსებულიყო აბიტურიენტებისათვის ადვილად ხელმისაწვდომ სივრცეში (მაგალითად: უნივერსტეტის ვებ გვერდზე, პროგრამის ელექტრონულ კატალოგში, სტუდენტის გზამკვლევში).

ასევე საჭირო იყო პროგრამაში შემავალ სავალდებულო დისციპლინას „გამოთვლითი მეთოდები“ წინაპირობად ნაცვლად დისციპლინისა „ერთი ცვლადის დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა“ განსაზღვრულიყო დისციპლინა „დიფერენციალური განტოლებები“ და განხორციელებულიყო აღნიშნული დისციპლინების სწავლების სემესტრების კორექტირება.

გარდა ამისა, რეკომენდებული იყო დისციპლინა „სასწავლო პრაქტიკის“ წინაპირობად, მისი მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრულიყო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები.

ასევე, ზოგიერთ სილაბუსში მირითად ლიტერატურაში გამოიყენებოდა რუსულენოვანი მასალა, შესაბამისად საჭიროებას წარმოადგენდა ქართულენოვანი ლიტერატურის დამატება და რუსულენოვანი წყაროს ინგლისურენოვანით ჩანაცვლება ან მხოლოდ ქართულენოვანი მასალის დარჩენა.

ბოლოს, ექსპერტმა განაცხადა, რომ საჭირო იყო სტუდენტები ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ ფინანსური ბაზრების თანამედროვე პრობლემების, ფინანსურ მათემატიკაში წარმოებული კვლევებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმულ პირველ და მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, საბაკალავრო პროგრამის „ფინანსური მათემატიკა“ მისანიშვირებლი კვალიფიკაცია იყო მათემატიკის ბაკალავრი. პროგრამას ახორციელებდა მათემატიკის დეპარტამენტი, პროგრამის სახელწოდება „ფინანსური მათემატიკა“. არ მოდიოდა წინააღმდეგობაში ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

ამასთან, საბაკალავრო პროგრამის მირითად სავალდებულო კურსებს შეადგენდა 95 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი კურსები შეადგენდა 20 კრედიტს. მათი განცხადებთ, აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაცია დარგობრივი მოდულის (მათემატიკა) დისციპლინების კრედიტების მოცულობის 120 კრედიტამდე გაზრდასთან დაკავშირებით სამართლიანი იყო და პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა გადაწყვიტა პროგრამას დამატებოდა სასწავლო კურსი „შემთხვევითი პროცესები“. არჩევითი კურსის სახით პროგრამას ასევე დაემატებოდა სასწავლო კურსები „თანამედროვე გეომეტრია“, „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“, „დისკრეტული მათემატიკა“.

გარდა ამისა, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმულ მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსი „ეკონომიკის“ ჩანაცვლდებოდა „ეკონომიკის I“-ით, ხოლო პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსის სახით დაემატებოდა „ეკონომიკის II“. ასევე, სასწავლო კურსის „ეკონომეტრიკა“ სწავლის შედეგები მოვიდოდა შესაბამისობაში უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასმინა, რომ პროგრამით გათვალისწინებული „საბაკალავრო ნაშრომის“ განხორციელების წესი და პროცედურები გაწერილი იყო ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის



მარეგულირებელ წესში, თუმცა ვინაიდან, საბაკალავრო ნაშრომს ენიჭებოდა 10 კრედიტი, ამიტომ მათ სამართლიანად მიაჩნდათ რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ პროგრამას თან დართული ჰქონდა „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსი. შესაბამისად, რეკომენდაციის გათვალისწინებით შეიქმნებოდა „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსი ყველა თანმხლები კომპონენტის (წინაპირობა, სწავლის შედეგები, შეფასების კრიტერიუმები და სხვ.) გათვალისწინებით.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმულ მე-6 და მე-10 რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო კომპიუტერული კლასების გამოყენება საფინანსო-საერთაშორისო ბირჟებზე (FOREX...), ან საქართველოს საფონდო ბირჟაზე (www.gse.ge) პროცესების დაკვირვებისათვის. ამ მიზნით, პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი აპირებდა დაეგეგმა ტრენინგ-კურსი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რათა გაღრმავებული ყოფილიყო კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება სწავლების პროცესში.

გარდა ამისა, იგეგმებოდა პრაქტიკოსი სპეციალისტების მოწვევა ღია სალექციო კურსების წასაკითხად.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმულ მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის მოკლე შინაარსი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დასაქმების სავარაუდო სფეროები განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გარდა ამისა, შექმნილი იყო პროგრამების საუნივერსიტეტო ელექტრონული კატალოგი, სადაც ასევე მოცემული იყო პროგრამის შესახებ მოკლე ინფორმაცია. პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ყოველწლიურად ქმნიდა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების გზაშევლებს აბიტურიენტებისათვის.

ამასთან, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმულ მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსის „გამოთვლითი მეთოდები“ ნაცვლად მესამე სემესტრისა გადატანილი იქნებოდა მეხუთე სემესტრში, ასევე, მიეთითებოდა წინაპირობა „დიფერენციალური განტოლებები“, რომელიც ისწავლებოდა მეოთხე სემესტრში.

აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციასთან დაკავშირებით, იმის თაობაზე, რომ „სასწავლო პრაქტიკას“ წინაპირობად განსაზღვრლიყო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები, პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი იმსჯელებდა „სასწავლო პრაქტიკის“ სილაბუსის განახლებისას.

ასევე, ყველა იმ სასწავლო კურსის განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პირს, რომლის სილაბუსიც მირითად ლიტერატურაში რუსულენოვან წყაროს შეიცავდა, ეცნობა გამოთქმული რეკომენდაცია და დაევალა ლიტერატურის განახლება ან სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სალექციო კურსის ან რიდერის შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო ფორმალურ დოკუმენტად განიხილავდა მხოლოდ ექსპერტთა დასკვნას და პროგრამის ჩასწორებულ და მოდიფიცირებულ ვერსიას საბჭო იურიდიული ძალის დოკუმენტად ვერ განიხილავდა.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქაში იკითხა, რა აუცილებელი იყო პროგრამის სახელმწიფოდება ყოფილიყო „ფინანსური მათემატიკა“, მაშინ როდესაც საკვალიფიკაციო ჩარჩოში მისანიჭებელი კვალიფიკაცია ამ დარღისათვის არ არსებობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შექმნის იდეა იყო უნივერსიტეტში მაინორ პროგრამის ამუშავება. მისივე განცხადებით, პროგრამა საკმაოდ წარმატებით მუშაობდა და მასზე მოთხოვნაც საკმაოდ მაღალი იყო.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ცალკე მათემატიკის საბაკალავრო პროგრამა, რაზეც წარმომადგენელმა დადებითი პასუხი განაცხადა.



საბჭოს წევრის ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით, მაშინ როდესაც კვალიფიკაცია ენიჭებოდა სტუდენტს, ის უნდა ყოფილიყო შემდგარი მათემატიკოსი და შეძლებოდა მუშაობა სხადასხვა სექტორებში. საბჭოს წევრებს შორის დისკუსია შეეხო პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ვინაიდან, პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებდა მათემატიკის ბაკალავრის ხარისხს, მათთა გაურკვეველი იყო, თუ სად მიღიოდა პროგრამის ფინანსური მოდული.

საბჭოს წევრის პაატა ბრეკაშვილის განცხადებით, კითხვები აღარ გაჩნდებოდა, თუ საკითხი დადგებოდა ფინანსისტისთვის მათემატიკის სწავლების მხრივ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მათემატიკოსისთვის ფინანსური მოდულის ამ რაოდენობით სწავლება არ იყო რენტაბელური.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, როდესაც საქმე ეხებოდა დამსაქმებელს და ასევე პროგრამის სტუდენტები ან კურსდამთავრებულები პრაქტიკებს გადიოდნენ სხვადასხვა კომპანიებში, დამსაქმებელს ყოველთვის პრობლემა ჰქონდა მათთან ფინანსურ მოდელთან დაკავშირებით, ამიტომ კურსდამთავრებულები ცალკე გადიოდნენ ფინანსურ და ეკონომიკურ კურსებს. მისი განცხადებით, ამან განაპირობა პროგრამის ფინანსური მოდულის გააქტიურება.

მისივე განცხადებით ძირითადი სპეციალობის კრედიტების რაოდენობა იყო 95 კრედიტი. კრედიტების ეს მოცულობა ნაწილდებოდა 180 კრედიტიდან ხოლო დანარჩენი კრედიტები, სხვადასხვა ზოგად, თუ ფინანსურ მოდულს შეესაბამებოდა.

მისი თქმით, მათემატიკის მოდულში 5 კრედიტი ტექნიკურად იყო გამორჩენილი და აღნიშნულული ხარჯზი აუცილებლად გამოსწორდებოდა.

საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა ერთ-ერთი სილაბუსით, კერძოდ კურსით: „შესავალი ფიზიკაში”, რომელშიც მხოლოდ მექანიკა და თერმოდინამიკა ისწავლებოდა. მან იკითხა, რა აზრი ჰქონდა მხოლოდ მექანიკისა და თერმოდინამიკის სწავლებას. მან ასევე შენიშნა, რომ დაწესებულების ხარისხის სამსახურის თანამშრომელი უძღვებოდა აღნიშნულ კურსს და კურსის ლიტერატურაში პირველივე სახელმძღვანელო იყო კონკრეტული პიროვნების ავტორობით. იგი დაინტერესდა, რა გრიფით იყო დაშვებული აღნიშნული სახელმძღვანელო. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხსენებული სახელმძღვანელო გამოცემული იყო უნივერსიტეტის მიერ და პრობლემა მის სწავლებაში არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, რის რახჯზე აპირებდა დაწესებულება ძირითადი სპეციალობისთვის კრედიტების დამატებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათემატიკის სპეციალობას კრედიტები დაემატებოდა მაინორის კრედიტების ხარჯზე და სხვა მოდულებიდან კრედიტები არ იქნებოდა ჩამორთმეული.

საბჭოს წევრის ელიზბარ ელიზბარაშვილის აზრით, პროგრამა ზევრ კითხვის ნიშანს სვამდა. მან ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს დაერქმიათ პროგრამისთვის მაგალითად „გამოყენებითი მათემატიკა” და კრედიტები გადაენაწილებინათ ძირითადი სპეციალობის შესაბამისად. აღნიშულის მდგრადობა ეჭვს აღარ გამოიწვევდა და პროგრამის განხორციელებას ხელს ვერაფერი შეუშლიდა.

დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

პენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 12

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სიკ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას განუმარტა, რომ საბჭოს მოსაზრებით, პროგრამის შინაარსი, სათაური და კვალიფიკაცია შესაბამისობაში არ იყო ერთმანეთთან. გარდა ამისა, საბჭოს წევრების აზრით, ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და უარყოფითი შეფასებები წარმოადგენდა საკმაოდ სერიოზულ ხარვეზებს, რომელთა გამოუსწორებლობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებას სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა. ამასთან, აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით და მას არ შეეძლო გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიეღო დაწესებულების მიერ ვიზიტის შემდგომ გამოსწორებული დოკუმენტაცია.



4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემთა სისტემების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

| პროგრამის დასახელება | დიდ მონაცემთა სისტემები |
|---------------------------|-------------------------|
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ინფორმატიკის ბაკალავრი |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრებს, გიორგი ქვარცხავას, ელიზბარ ელიზბარაშვილს და ირინა გოცირიძეს ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო აქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის ექსპერტს.

აკრედიტაციის ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტი საკმაოდ მძიმედ წარიმართა, ვიზიტის დროს ადგილი ჰქონდა კამათს და პოლემიკას ექსპერტთა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის.

მისივე განცხადებით აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებაში იყო საკმაოდ ბევრი ხარვეზი, რაც ხელს უშლიდა პროგრამას განხორციელებაში.

ექსპერტის განცხადებით პროგრამა უნდა გამხდარიყო უფრო მეტად ფოკუსირებული ადგილობრივ დასაქმების ბაზარზე და ბაკალავრის ხარისხის მოსალოდნელ შედეგებზე.

ასევე, საჭირო იყო გადასინჯულიყო მისის ფორმულირება და პროგრამის მიზნები ყოფილიყო გასაგები და ნათელი.

ასევე, პროგრამა უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში საუნივერსიტეტო დონის ICT სასწავლო გეგმის გარკვეულ სტრუქტურასთან, რომელიც რეკომენდირებული იყო სართაშორისო ორგანიზაციის მიერ (მაგ. ACM/IEEE). ასევე პროგრამის აღწერისას წარდგენილი უნდა ყოფილიყო მტკიცებულება, რომ პროგრამა პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას დიდ მონაცემთა სისტემების სწავლებაში ბაკალავრიატის საფეხურზე.

ასევე, სასწავლო კურსების შინაარსი უნდა შემდგარიყო უახლესი თემებისგან, რომლებიც მასიურად და უფრო მეტად იყენებდა IT პროფესიულ საქმიანობაში და ამჟამად წარმოდგენილ სწავლის პროგრამაში.

მოსალოდნელი სწავლის შედეგების გათვალისწინებით, კომპეტენციისა და უნარ-ჩვეულების ჩამონათვალს უნდა მითითებოდა მეტი ინფორმაცია: ზოგადი კომპეტენციები, ტრანსფერული კომპეტენციები და სპეციფიკური კომპეტენციები.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, დიდ მონაცემთა სისტემები მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის და ინდუსტრიისთვის, რაც არსებით რეალობასთან კონტექსტში ვერ ჯდებოდა, რადგან მიუხედავად ამ დარგის აქტიუალობისა, დიდი მონაცემები არ წარმოადგენდა ქვეყნისთვის იმგვარად პრიორიტეტულ დარგს, როგორც ეს პროგრამაში იყო გაწერილი.

ასევე, ექსპერტის განცხადებით, მასწავლებელთა გამოცდილება შესაბამისი უნდა ყოფილიყო იმ საგნეზისა, რასაც ისინი პროგრამაში უძლვებოდნენ.

შემდეგი შენიშვნა ეხებოდა ასევე პედაგოგების საერთაშორისოდ აღიარების საკითხს. აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართულ პირებს უნდა ჰქონოდათ პუბლიკაციები საერთაშორისო ჟურნალებში და ასევე მათი მონაწილეობის დონე საერთაშორისო კონფერენციებში უნდა ყოფილიყო მაღალი.

შემდეგი შენიშვნა შეეხო ინფორმაციულ ურასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ექსპერტის განცხადებით, სასწავლო სტრუქტურის მართვის სისტემა მოითხოვდა დახვეწას და ამ სისტემის მოხმარება შესაძლებელი იყო სასწავლო პროცესის მართვაში.

რიგი პრობლემები მოდიოდა ენობრივ კომპეტენციასთან დაკავშირებით, რადგან სასწავლო მასალებში, ადმინისტრაციაში სერიოზული პრობლემა იყო ინგლისურის ცოდნასთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით, ვინაიდან პროგრამა იყო ინგლისურნოვანი აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენდა ინგლისურის გარკვეული მასშტაბით ჩართვა მასში.

ცალკე პრობლემას წარმოადგენდა ენის არცოდნა, როგორც მოწვეულ, ასევე აკადემიურ პერსონალში, რაც ვიზიტის დროს გასაუბრებისას შეინიშნებოდა.

ექსპერტის განცხადებით, ასევე პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საგნის სილაბუსში მითითებული იყო ერთი ლექტორი და კურსი მიჰყავდა მის ნაცვლად სხვას. მისი თქმით, აღნიშნულიც გამოიკვეთა ინტერვიურების შედეგად.

ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ვერ ადასტურებდა საკუთარ კვლიფიკაციას კონკრეტულად დიდ მონაცემებთან მიმართებით, კერძოდ, მათ არ გააჩნდათ პუბლიკაციები, ნაშრომები აღნიშნულ საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმოადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების შეფასება იყო არაკომპეტენტური და ექსპერტები იყვნენ არათანმიმდევრულები შეფასების პროცესში.

მისი განცხადებით, ექსპერტები ვერ ერკვეოდნენ, თუ რა პროგრამას აფასებდნენ, რადგან პროგრამას ერქვა „დიდ მონაცემტა სისტემები“ და ექსპერტები საუბრობდნენ „დიდ მომაცემებზე“. რაც აბსოლუტურად განსხვავებული დარგების ერთმანეთში არევის ფაქტს წარმოადგენდა.

ასევე, დასკვნის უმეტეს ნაწილში იკითხებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიები და დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დიდ მონაცემთა სისტემები, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან არ იყო კავშირში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, არსებობდა თუ არა აღნიშნული პროგრამა უცხოურ უნივერსიტეტებში ისეთივე განცალკევებულად, რის განხორციელებასაც აღნიშნული დაწესებულება, აღნიშნული პროგრამით აპირებდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თან ჰქონდათ უნივერსიტეტების ჩამონათვალი, რომელშიც აღნიშნული პროგრამა ისწავლებოდა წარმოდგენილი სახით.



დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტებმა დასკვნაში შეაფასეს დიდი მონაცემები და ინფორმაციული ტექნოლოგიები, იმის ნაცვლად, რომ გაერთიანდებინათ დიდ მონაცემთა სისტემები, რაც მათ აზრით, სერიოზული დარღვევა იყო.

გარდა ამისა, დაწესებულების რექტორისთვის გაურკვეველი იყო, რატომ შეაფასეს ექსპერტებმა აღნიშნული პროგრამა, როგორც არაპრიორიტეტული დარგი ქვეყნისთვის, რადგან მისივე თქმით, სახელმწიფომ რამდენიმე წლის წინ მიიღო გადაწყვეტილება და საკმაოდ დიდი ინვესტიცია გამოყო, იმისათვის რომ საქართველოში შექმნილიყო დიდ მონაცემთა სისტემების ცენტრი, რომელიც ფუნქციონირებდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში.

მისივე განცხადებით, 2018 წლისთვის აღიშნული პოლიტიკა იქნებოდა განხორციელებული, რადგან ქვეყანა უნდა შესულიყო ე.წ გრიდ სისტემაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველ წელს მინიმუმ 30-40 სტუდენტი გადიოდა სტაჟირებას CERN-ში. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ქვეყანაში დიდ მონაცემთა ბაზის სპეციალისტი ძალიან მოთხოვნადი იყო და საქართველოში შესაბამისი კვალიფიკირებული სპეციალისტი ძალიან მნელად თუ მოიპოვებოდა, რაც დანაკლისს წარმოადგენდა, ისეთი დიდი ინსტიტუტიებისთვის როგორიც იყო მაგალითად საქართველოს ეროვნული ბანკი. აღნიშნული სისტემები ყველა სტრუქტურისვის იყო საჭირო და ხსენებული წარმოადგენდა ბაზრის მოთხოვნას.

უნივერსიტეტის რექტორმა დასძინა, რომ ექსპერტთა შეფასებებში დასკვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და გაიმეორა, რომ ექსპერტთა შეფასება იყო არაადეკვატური.

პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი პროფესორი ქართლოს ყაჟაშვილი ნათელი დასტური იყო იმისა, რომ აკადემიური პერსონალი და პედაგოგები საკმაოდ კვალიფიციურები იყვნენ. ქართლოს ყაჟაშვილის თქმით, იგი წლების განმავლობაში უცხოურ უნივერსიტეტებში კითხულობდა ლექციებს და მის მიერ გამოცემული მონოგრაფიები ნიუ იორკის უნივერსიტეტში იყო გამოქვეყნებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა დასკვნა სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ცოდნის დონის შესახებ ასევე არ იყო სამართლიანი, რადგან იქიდან გამომდინარე, რომ დიდი მონაცემების სისტემების პროგრამა არ იყო ჯერ განხორციელებული, ისინი შეხვდნენ სხვა, მომიჯნავე, ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებს და ისინი არ იყვნენ ვალდებული ინგლისური მაღალ დონეზე სცოდნოდათ. თუმცა, შეხვედრაზე მყოფი 5 სტუდენტიდან 3 გამართულად საუბრობდა ინგლისურად და მათი შესაძლო კომუნიკაციის პრობლემები გამოწვეული იყო დარგის სპეციფიკური ტერმინოლოგიის არცოდნიდან გამომდინარე.

ასევე, უნივერსიტეტში ინფორმაციის ქართულ ენაზე გავრცელება განაპირობებდა იმას, რომ დაწესებულებაში ცოტა იყო უცხოენოვანი პროგრამები და შესაბამისად სტუდენტების უმეტესობაც ქართულ ენაზე საუბრობდა, ამიტომ განცხადებებიც ქართულ ენაზე იშეჭდებოდა.

გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასკვნა იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არ მოიპოვებოდა უცხოენოვანი წიგნები და სახემძღვანელოები, რომლებიც პროგრამისთვის იყო მნიშვნელოვანი, არასწორი იყო, რადგან ბიბლიოთეკაში არსებობდა შესაფერისი რაოდენობის, თანამედროვე, ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების ელ. ვერსიები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ დასკვნაში ასახული იყო დიდი მონაცემები და დაწესებულება საუბრობდა დიდი მონაცემების სისტემის შესახებ. აღნიშულ საკითხი მნიშვნელოვანი იქიდან გამომდინარე, თუ რა უნდა შეფასებულიყო ექსპერტების მიერ, კერძოდ უნდა გაანალიზებულიყო რა განსხვავება იყო დიდ მონაცემებსა და დიდ მონაცემთა სისტემებს შორის.



ექსპერტმა დასძინა, რომ დიდი მონაცემები იყო მოცულობით დიდი მონაცემები. შესაბამისად, როდესაც საუბარი იყო დიდი მონაცემების სწავლაზე, შეისწავლებოდა მონაცემების წყაროები. რაც შეეხებოდა დიდ მოაცემთა სისტემებს, იგი პირდაპირ კავშირში იყო საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, რადგან თვითონ სიტყვაც აღნიშნავდა მათ ურთიერთკავშირს.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა იკითხა, არსებობდა თუ არა დაწესებულებაში ქართულენოვანი ანალოგიური პროგრამა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქართულენოვანი პროგრამა არ არსებობდა, რადგან ორიენტაცია აღებული იყო საერთაშორისო თანამშრომლობაზე სხვადასხვა ცენტრებთან

საბჭოს წევრმა გიორგი ოდოშაშვილმა იკითხა, რატომ იყო პროგრამა სრულიად ინგლისურენოვანი, მაშინ როდესაც ქვეყნას სჭირდებოდა დარგის სპეციალისტები, მაშინ როდესაც სახელმწიფო თანხები გამოიყოფოდა დარგის განვითარებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ კითხვას უპასუხა, რომ პროგრამა იქმნებოდა უცხოელების ჩართულობით და პროგრამაში აუცილებელი იყო უცხოელების დაკვეთის შესრულება. სწორედ ამიტომ პროგრამა ხორციელდებოდა ინგლისურად და იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმატებას მიაღწივდა, მაშინ დაწესებულება იზრუნებდა მის ქართულენოვან ვარიანტზეც.

19:25 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 20:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მოახსენა, რომ საბჭოს წევრებს გადაწყვეტილების მისაღებად ჭირდებოდათ საკითხის დამატებითი შესწავლა. ამისთვის, საბჭო შუამდგომლობდ ცენტრის წინაშე, რომ ცენტრს მოეძია დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც გაეცნობოდნენ და შეისწავლიდნენ, როგორც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას, მის შინაარს, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. აღნიშნული დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასების შემდგომ, საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემთა სისტემების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შემდეგი სხდომისთვის გადაიდოს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ მონაცემებით სისტემების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 20:10 საათზე დახურულდა გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

ირაკლი ბურდული

მდივანი:

გიორგი ოდოშაშვილი